



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## הַמְנוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ივლისი  
თამაში  
7 (431)  
(5777)  
2017

“הַמְנוֹרָה”  
עֵתוֹן יְהוּדִי  
בַּגּוֹרֵה

### რას ამბობს ისრაელის შს მინისტრი ქართველ არალეგალებზე



ისრაელში არალეგალურად 79 000 ადამიანი იმყოფება, ძირითადად საქართველოდან და უკრაინიდან, რომლებიც ტურისტებად შემოვიდნენ უვიზო რეჟიმის ფარგლებში და ქვეყნის ტერიტორია არ დაუტოვე-ბიათ, - აღნიშნულის შესახებ ისრაელის შს მინისტრმა არიე დერიმ განაცხადა.

“ინფილტრაცია აფრიკის ქვეყნებიდან სერიოზული პრობლემაა, თუმცა ჩვენ სხვა პრობლემის წინაშე დავდებით, არანაკლებ სერიოზული პრობლემაა ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან არალეგალური მიგრაცია”, - განმარტა მინისტრმა.

არიე დერის თქმით, საქართველოდან და უკრაინიდან ჩამოსული ტურისტები ბენ-გურიონის აეროპორტიდან ავტობუსებით მიჰყავთ თელ-ავივში თავშესაფრის შესახებ განცხადებების მიღების ოფისში.

“ამგვარი განცხადებების შეტანის შემდეგ შეუძლებელია მათი დეპორტირება, ვიდრე კომისია განაცხადს არ განიხილავს და ოფიციალურ პასუხს არ გასცემს”, - განაგრძო მინისტრმა.

მისივე თქმით, ეს პროცესი დაახლოებით ერთი წლის წინ დაიწყო და შუამავლები 5000 აშშ დოლარს იღებენ არალეგალების მიღებასა და პირველად მოწყობაზე.

#### მკითხველის კომენტარები:

**ბუბა**  
სოს ახია ჩვენზე 2500 წინ და მერეც ბევრჯერ, რომ მოგვადგინენ დედა ბუდიანად შენ რასაც ამბობ იგივე უნდა გათქვა?  
23 ივნისი 2017 11:32

**მასო**  
ეგვც შენი ძმა ებრაელები 2500 წელი კი არ მუშაობდნენ აქ ფულს აკეთებდნენ ქართველებს სამუშაოდაც არ ღებულთბენ ძმობაც მაგას ქვია  
23 ივნისი 2017 11:21

**ნატალია**  
ვცეთ პატივი მათ კულტურას და ქვეყანას, მოვიქცეთ ქართველებმაც ნორმალურად და არ მივიღებთ აგრესიულ განწყობას არცერთი ქვეყნიდან.  
23 ივნისი 2017 09:04

---  
გვიყვარს, გვიყვარს რატომ-მარაუნდა! ... ფული ყველაზე ძალიან! რასაც ქვეყნიდან ნასულეები “პახაობენ” და რა სამუშაოსაც კადრულობენ, იმის ნახევარი სამშობლოში იშრომონ და იკადრონ, ასე გაუბედურების გზაზე აღარ შევდგებოდით, ცოტა გვექნებოდა მაგრამ, ერთად ვიქნებოდით! მაგრამ ცოტა რომ არ გვეყოფნის? ქართველი ხომ ერთხელ მოვიდა ამ ქვეყანაზე და... ებრაელებს დავაბრალოთ ჩვენი უთავბოლოება და სიხარბე! როგორც დაიმსახურებ ისე მოგექცევიან..!  
23 ივნისი 2017 09:16

**ლია**  
გეთანხმები აბსოლიტურად  
23 ივნისი 2017 08:43

**LASHA**  
მე მესამედ ვიყავი ისრაელში მათი სიყვარული და პატივისცემა არასოდეს დამავინწყდება;  
22 ივნისი 2017 23:13

**Giorgi**  
გაუმარჯოს საქართველოს და ისრაელს! ქართველს და ებრაელს! მე მიყვარს ებრაელი ხალხი და ისრაელიც და ვაფასებ მათ კონსტიტუციას და უსაფრთხოებას. გაგებით უნდა მოვეკიდოთ, არალეგალი ყველგან არალეგალია...  
22 ივნისი 2017 23:11

**ვალერი ცირამუა**  
სირცხვილია ამდენი უგუნური კომენტარები.რა შეჭამეთ ტვინი 26 საუკუნით. კი ბატონო ებრაელებს საქართველოში არ არბევდნენ, მაგრამ თავიანთ სწორად იმეიათად მიიჩნევენ და უმეტეს შემთხვევაში მე-

ბურდლე ურიად იხსენიებდნენ. ის ხალხი იცავს თავიანთი ქვეყნის ინტერესებს, არალეგალი ყოველთვის საფრთხის შემცველია, ვინ იცის რამდენი ქურდი და მამაძალი ურევია მათში. ძალიან სწორადაც იქცევიან ისრაელის სახელმწიფო სტრუქტურები.  
22 ივნისი 2017 22:57

**მაია**  
წესიერად მოიქეცი, ყველაფერი კანონიერად გააკეთეთ, სახელს ნუ გაიტეხთ და არავინ შეგიქმნით პრობლემას. რა ვალდებულია რომელიმე ებრაელი, რომელსაც საქართველო არც გაუგია და არც მის წინაპარს უცხოვრია აქ, საეჭვო ქართველები შეუშვან თავიანთ ისედაც დაძაბულ, საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში.  
22 ივნისი 2017 22:01

**ნიკა**  
მარტო ჩვენ ვყოფილვართ სტუმართმოყვარე ხალხი! ვაი ჩემო ქართველებო:-  
22 ივნისი 2017 20:35

**სს**  
რავართ ასეთი ეს ქართველები ეს 4 მილიონი კაცი მთელ მსოფლიოს რო პრობლემას ვუქმნით ?  
23 ივნისი 2017 09:16

**ელია**  
კაცმა ორმოში ჩავარდნილი გადაარჩინა. რამდენჯერაც შეხვდა იმდენჯერ შეახსენა - ხომ გომეღეო მონყინდა მასაც და უკან ორმოში ჩახტა. ჩვენც ნუ გადავყოლებთ 26 საუკუნეს.  
22 ივნისი 2017 21:05  
(ავტორთა სტილი და ცულობა)  
[WWW.AMBEBI.GE](http://WWW.AMBEBI.GE)

### ახალი ინსტრუქცია

ამ დღეებში ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის რეგისტრაციისა და მიგრაციის სამმართველომ გამოაქვეყნა ახალი ინსტრუქცია იმათთვის, ვინც მიადგა ისრაელის საზღვარს და სურს გადალახოს იგი. სხვა მიზეზებთან ერთად ინსტრუქციაში მოყვანილია 28 მიზეზი, რომელთა გამოც შესაძლოა, ადამიანს არ მიეცეს ისრაელში შესვლის უფლება (ზოგიერთი მათგანი მეორდება კიდევ):

- \* თუ ფლობთ უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის სფეროს ინფორმაციას,
- \* თუ არა გაქვთ მინვევა — თანახმად ინსტრუქციისა, იმ ქვეყნების მოქალაქეებისათვის, რომელთაც ისრაელს სავიზო რეჟიმი აქვს.
- \* თუ თქვენ სტუმრად ჩახვედით ადამიანთან (ადამიანებთან), რომელიც არ გახლავთ ისრაელის მოქალაქე, ან არ არის ისრაელის მუდმივი მაცხოვრებელი
- \* ტყუილი სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ,
- \* დაეჭვება ჩამოსვლის მიზანში,
- \* ჩამოსვლის გაუგებარი მიზანი,
- \* სასაზღვრო-გამშვები პუნქტის დაცვასთან თანამშრომლებზე უარის თქმა.
- \* არასწორი ვიზა,
- \* თუ ისრაელში გყავთ ახლო ნათესავები-უცხოელი მუშახელი,
- \* თუ არ გაქვთ ვიზა,
- \* თუ არ გაქვთ მინვევა,
- \* თუ არ გაქვთ ქვეყანაში შესვლის ნებართვა („აღწების“ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან),
- \* თუ ჩამოსვლის მიზანი არალეგალური სამუშაოა,
- \* საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა,

- \* თუ მგზავრი ეჭვს ბადებს, რომ ისრაელში მისი ჩამოსვლის მიზანი აქ მუდმივ საცხოვრებლად დარჩენაა,
- \* თუ მგზავრი ეჭვს ბადებს, რომ ახალჩამოსული ტვირთად დაანგება სახელმწიფოს,
- \* თუ მგზავრი ეჭვს ბადებს, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი მისიონერული მუშაობაა,
- \* თუ მგზავრს ადრე უარი ეთქვა ქვეყანაში შესვლაზე,
- \* მგზავრის ჩამოსვლის მიზნის გაუგებრობა,
- \* თუ მგზავრი ადრე ისრაელში მუშაობდა, როგორც უცხოელი მუშა და ქვეყანაში ყოფნის ვადა მაქსიმალურად ამოწურა,
- \* თუ მგზავრი ადრე უცხოელი მუშა გახლდათ და ახლა ჩამოვიდა, როგორც ტურისტი,
- \* თუ მგზავრმა ისრაელში ადრე სტუმრობისას, ქვეყანაში ყოფნის დასაშვებ ვადას გადააცილა — ინსტრუქცია დაარღვია,
- \* თუ ადრეულ წლებში ისრაელში უკანონოდ იმყოფებოდა,
- \* თუ მონაწილეობდა ისრაელის საწინააღმდეგო აქციებში (ისრაელის ბოიკოტის, ისრაელში ინვესტირების შეწყვეტის, ისრაელისადმი სანქციების დაწესების მონაწილეობა)

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ ეს სია სრულად არ გადმოსცემს ქვეყანაში არშემგების მიზეზებს — შესაძლებელია, ქვეყანაში შესვლის მსურველს, სრულიად სხვა მიზეზითაც ეთქვას უარი.

ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის შემთხვევაში მგზავრს აცნობებენ, თუ რა არის უარის თქმის მიზეზი, რომლის შემდეგაც დააბრუნებენ იქ, საიდანაც ჩამოვიდა, ან სხვა ქვეყანაში, სადაც მას ძალუძს საზღვრის გადალახვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ 2016 წელს ისრაელში შესვლაზე უარი ეთქვა 16 534 ადამიანს, ამათგან უმეტესობა საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები არიან.

### ანტიისრაელური რეზოლუციის დამტკიცება



იუნესკოს აღმასრულებელმა კომიტეტმა კრაკოვში გამართულ სხდომაზე 22 ხმით ათის წინააღმდეგ დაამტკიცა ანტიისრაელური რეზოლუცია, რომელიც მთლიანად უარყოფს ისრაელის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს იერუსალიმზე, როგორც მის აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილზე. რეზოლუციის ტექსტში, რომელიც კენჭისყრულად არაბული სახელმწიფოების ბლოკმა გამოიტანა, ნათქვამია, რომ „ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და მოქმედება, რომელიც


ამკვიდრებს თავის კანონებს, იურისდიქციას, ნიშნავს იერუსალიმის ხელისუფლებას, უკანონოა და არარა იურიდიული ძალა არ გააჩნია“ არაბულ სახელმწიფოთა მიერ შემოტანილ ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირეს: ბანგლადეშმა, ბრაზილიამ, ვიეტნამმა, ირანმა, ჩინეთმა, მავრიკიამ, მალაიზიამ, ნიგერია, ნიკარაგუამ, პაკისტანმა, რუსეთმა, სენეგალმა, ჩადი, შვეციამ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და შვიდმა არაბულმა სახელმწიფომ. რეზოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ: დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ლიტვა, ნიდერლანდები, პარაგვაი, აშშ, ტოგო, უკრაინა. სხვა სახელმწიფოთა უმეტესობამ თავი შეიკავა. ნეპალმა, სერბიამ და თურქმენეთმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. როგორც ვხედავთ, ანტიისრაელურ რეზოლუციას ევროპის მხოლოდ ერთმა ქვეყანამ - შვეციამ დაუჭირა მხარი. არაბული სახელმწიფოების ბლოკისთვის ერთობ მოულოდნელი გამოდგა, ის რომ ძლიერ შემცირდა მათი მხარდამჭერი სახელმწიფოების რიცხვი.

### ჩხუბის პარლამენტში

ჩხუბის პარლამენტში ჩატარდა კენჭისყრა იერუსალიმის სტატუსთან დაკავშირებით. ინიციატორები მოითხოვდნენ რომ ცნობილი იქნას ისრაელის სუვერენიტეტი იერუსალიმზე. კენჭისყრა ინიციატორთა გამარჯვებით დამთავრდა. მათ მხარი დაუჭირა 112 დეპუტატმა, წინააღმდეგი იყო — 2 დეპუტატი. ამას გარდა, ჩხუბის პარლამენტმა მთავრობას მოუწოდა შეწყვიტოს იუნესკოს დაფინანსება — იმდენად რამდენადაც, ამასწინათ იერუსალიმთან დაკავშირებით მიღებული იქნა ანტიისრაელური რეზოლუცია. დეპუტატმა იანა ჩერნოხოვამ განაცხადა: ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ იუნესკოს ასეთი მტრული დამოკიდებულება ისრაელის მიმართ. სხვა დეპუტატებმა კი იუნესკოს მოსთხოვეს ყურადღება გაამახვილოს „ისლამურ სახელმწიფოზე“, რომელიც უძველეს ძეგლებს ანგრევს. პარლამენტის ამ სხდომის შემდეგ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ისრაელში ჩხუბის ელჩს მაღლობის წერილი გაუგზავნა.

### ალბერტ ეინშტაინის ფირილები აშქირონოში

ალბერტ ეინშტაინის წერილები, რომლებშიც იგი ბჭობს მაკარტიზმზე, ღვთის ბუნებასა და ახალშექმნილ ისრაელის სახელმწიფოზე, აუქციონზე 210 ათას დოლარად გაიყიდა. აუქციონი ისრაელში გაიმართა. თავდაპირველად ამ საგანძურის ეინშტაინის წერილების- ფასი 20 ათასი დოლარი გახლდათ, ეს კი მნიშვნელოვნად ნაკლებია საბოლოო ფასისა. ყველაზე ძვირადღირებული ის წერილები აღმოჩნდა, რომელშიც ნობელისტი მეცნიერი ღმერთზე მსჯელობს-იგი 84 000დოლარად გაიყიდა.



აუქციონზე გამოტანილი წერილების კოლექციაში შევიდა წერილები, რომლებსაც ეინშტაინი 1951-1954 წლებში უგზავნიდა თავის მეგობარსა და კოლეგას- კვანტური ფიზიკის სპეციალისტს დავით ბომს. ეინშტაინი და დ. ბომი პრინსტონის უნივერსიტეტში მუშაობისას დამეგობრდნენ. დ. ბომი 1951 წელს ამერიკიდან ბრაზილიაში გაიქცა-მან არ მოისურვა ჩვენება მიეცა თავის იმ ნაცნობებზე, რომლებიც პროკომუნისტურ განწყობილებაში იყვნენ ექვმიტანილნი. დღემდე ეს წერილები დ. ბომის ოჯახში ინახებოდა, შარშან ბომის მეუღლე გარდაიცვალა და ეინშტაინის წერილები ოჯახის უძრავ ქონებასთან ერთად გავიდა აუქციონზე.


### 705 მილიონი დოლარი თავდაცვისათვის

29 ივნისს აშშ წარმომადგენლობითი პალატის ასიგნირების და აშშ სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტმა დაამტკიცეს ამერიკა-ისრაელის რაკეტ-სანინააღმდეგო თავდაცვის ერთობლივი პროგრამის დამატებითი დაფინანსება-705 მილიონი დოლარი. საუბარია აშშ-ს ისრაელისადმი ყოველწლიური დახმარების ათწლიანი გეგმის დამატებით ღონისძიებებზე-2018 წლის საბიუჯეტო სახსრებზე.ეს თანხა გამოიყო იმისათვის, რომ დამუშავდეს და შეისყიდონ რაკეტსანინააღმდეგო საშუალებები. ამასთან წინა წელთან შედარებით, დაფინანსება 105 მილიონი დოლარით გაიზარდა — თუ შარშან 600 მილიონს ოდნავ აჭარბებდა, წელს გამოყოფილია 705 მილიონი დოლარი. ამ გადაწყვეტილებას მიესალმა ამერიკა-ისრაელის საზოგადოებრივი ურთიერთობის კომიტეტი (აიპაკი). იტყობინებია, რომ შარშან — 2016 წელს, სექტემბერში ისრაელმა და ამერიკამ ხელი მოაწერეს „ურთიერთგაგების მემორანდუმს-სამხედრო დახმარების ათწლიანი გეგმას“ 2018-28 წლებში ამერიკა ისრაელს გაუწევს სამხედრო დახმარებას,რომლის მიხედვითაც, იერუსალიმი ყოველწლიურად მიიღებს 3.8 მილიარდ დოლარს ნაცვლად 3.1 მილიარდი დოლარისა, რომელსაც 2007 2017 წლებში ლეზულობდა და ლეზულობს. ამასთან ერთად ისრაელმა აშშ-ს წინაშე აიღო ვალდებულება,რომ კონგრესში

არ შეიტანს განაცხადს სამხედრო დახმარების გაზრდის თაობაზე. თუმცა, რე-სპულკური პარტიის სენატორები ამგვარი შეზღუდვის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

### კომპოზიტორის წარმატება

ამასწინათ თელ-ავივის კამერულმა თეატრმა განახორციელა შექსპირის პიესა „როგორც გენებოთ“ ისრაელის პრესა წერს, რომ სპექტაკლი ერთობ წარმატებული გამოდგა. ისრაელის რუსულენოვანი საინფორმაციო საიტი „ვესტი“ ეხმარება კამერული თეატრის ამ ახალ, გამარჯვებულ სპექტაკლს, მიმოიხილავს რეჟისორის, მსახიობების ნამუშევარს და სპექტაკლის წარმატებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს კომპოზიტორს. ამ სპექტაკლისთვის კი მუსიკა ისრაელში ერთობ აღიარებულმა ჩვენმა თანამემამულე კომპოზიტორმა იოსებ ბარდანაშვილმა შექმნა. საიტი აღნიშნავს, რომ ი.ბარდანაშვილის მუსიკა დიდებულია და მისი მუსიკა რომ არა, სპექტაკლი სულ სხვაგვარი იქნებოდა.



როგორც ცნობილია. იოსებ ბარდანაშვილი კინომუსიკასაც სშირად წერს: ამ დღეებში ისრაელში გამოვიდა რეჟისორ დობერ ქოსაშვილის ფილმი,რომლის მუსიკაც ასევე იოსებ ბარდანაშვილს ეკუთვნის. იოსებ ბარდანაშვილს სშირად იწვევენ ქართველი რეჟისორები. ამასწინათ კარლოვი ვარის კინოფესტივალზე წარმოდგენილი იქნა გიორგი ოვაშვილის ფილმი „ხიბულა“, რომლის მუსიკაც ი. ბარდანაშვილმა დანერა. ასევე ი. ბარდანაშვილია კომპოზიტორი ელდარ შენგელაის ახალი ფილმისა, რომელიც მალე გამოვა ეკრანებზე.

ამერიკელი ფილანტროფის უარი ცნობილმა ამერიკელმა ფილანტროფმა აიზეკ ფიშერმა განაცხადა, რომ ისრაელში აღარ დააფინანსებს მის მიერვე წამოწყებულ პროექტებს და ამის მიზეზი ისრაელის ხელისუფლება გახლავთ. აიზეკ ფიშერის ასეთი განცხადება გამოიწვია მთავრობის გადაწყვეტილებამ უკან გაიწვიოს კანონპროექტი გოდეტის კედელთან ერთობლივი ლოცვისათვის სალოცავი მოედნის გამოყოფის თაობაზე. და კიდევ ერთი გარემოება: ა. ფიშერს არ მოსწონს მთავრობის პოზიცია გიურთან დაკავშირებით.

წამოწყებული პროექტების შეჩერებასთან ერთად, ა. ფიშერმა ისრაელის ხელისუფლების სპეციალური ობლიგაციების შესყიდვაზე, თელ-ავივის უნივერსიტეტის ფინანსირებაში მონაწილეობასა და მთელ რიგ სხვა პროექტებზე თქვა უარი.

### საიუბილეო მაცაბიად

6 ივლისს იერუსალიმის ტედი კოლე-კის — ამ ქალაქის ლეგენდარული მერის-სახელობის სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ებრაელი ახალგაზრდების სპორტული ძალების დათვალეობა — ეს გახლდათ რიგით მეოცე-საიუბილეო მაქაბიად, რომლის გახსნასაც გულითადად მიესალმნენ ისრაელის პრეზიდენტი რეუვენ რივლინი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიასჰუ. ამას გარდა, საზეიმოა ისიც, რომ მეოცე მაქაბიად იერუსალიმის გაერთიანების 50-ე წლისთავზე ეწყობა.



საიუბილეო, მეოცე მაქაბიადში მონაწილეობს 80 სახელმწიფოს ათი ათასზე მეტი ებრაელი სპორტსმენი ახალგაზრდა. გათამაშდება 2100 სახეობის ჯილდო.

იერუსალიმის მერი ნირ ბარკათი აცხადებს, რომ ქალაქმა დიდი ხანია დაიწყო მაქაბაისათვის მზადება-ახალი სპორტული კომპლექსების აგებისა და უკვე არსებულის წესრიგში მოსაყვანად ათობით მილიონი შეკეტი დაიხარჯაო

### ივანკა ტრამპი ბეჭოში და საყვებური პრეზიდენტისადმი



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ქალიშვილმა და მრჩეველმა ივანკა ტრამპმა ვარშავის აჯანყების გმირებისადმი მიძღვნილი ძეგლი ყვავილებით შეამკო,რომლის შემდეგაც იქვე მდებარე პოლონეთის ებრაელთა ისტორიის მუზეუმი მოინახულა.

პოლონეთის ებრაული თემი მიესალმა ივანკა ტრამპის მიერ გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობასა და ისტორიის მუზეუმში მისვლას, თუმცა გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ არც ერთგან და არც მეორეგან, მისვლა არ იქნება აშშ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა. პოლონეთის მთავარმა რაბინმა მიხალ შუდრიჩმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ვარშავის ებრაელთა გმირული აჯანყების მემორიალს უთუოდ სტუმრობდა ვარშავაში ჩამოსული აშშ ყოველი პრეზიდენტი თუ ვიცე-პრეზიდენტი,ამჯერად კი...

მიხალ შუდრიჩმა ივანკა ტრამპის მიერ მემორიალის მონახულება „ძალიან... ძალიან მნიშვნელოვნად“ მიიჩნია „განა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ებრაელია და მისმა ბებია-ბაბუამ ( მთავარი რაბინი ალბათ, ივანკა ტრამპის მეუღლის- ჯერად კუშნერის ბებია და ბაბუას გულისხმობდა. რედ.) ჰოლოკოსტი გადაიტანეს, არამედ იმიტომ რომ აქ მოსვლა მისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, ამავე დროს გულსატკეპნი ის, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში პირველად აშშ პრეზიდენტმა გვარდი აუარა და არ მოინახულა ვარშავის გეტოს აჯანყების მონაწილეებისადმი მიძღვნილი მემორიალი“ — შუდრიჩმა ეს განუცხადა სააგენტო „ხოლო მოგვიანებით, პოლონეთის სხვა ებრაელ ლიდერებთან ერთად ასეთი წერილი გაავრცელა: „ძალიან ვწუხვართ,რომ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც სულ რაღაც ერთი მილის მანძილზე იმყოფება ვარშავის ებრაელთა გეტოს გმირული აჯანყების მემორიალისაგან, დაარღვია ამერიკის ლიდერების სანაქებო ტრადიცია და არ ეწვია მას.“

-გვეჯერა რომ ეს წერილმანი არ გამოხატავს ამერიკელი ხალხის დამოკიდებულებასა და გრძობებს-ნათქვამია პოლონეთის ებრაული თემების კავშირის პრეზიდენტის ლესლავ პიშვესკისა და ვარშავის ებრაელთა თემის პრეზიდენტის ანა ჩიპჩინსკოის განცხადებამი.

# გაზეთი „ჰა-კარმელი“ (1863) ბათუმიელი ებრაელების უმსახებ<sup>1\*</sup>

გურამ ლორთქიფანიძე;  
ქატიკვან ლორთქიფანიძე;  
ზაზუნა ქავთარაძე

XIX ს. მეორე ნახევარი რუსეთის იმპერიაში აღინიშნა რუსულენოვანი ებრაული გამოცემების სიუხვით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა. რუსეთის თვითმპყრობელ იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881 წწ.) ევროპული ყაიდის სახელმწიფო რეფორმებმა, მათ შორის ბატონყმობის გაუქმებამ, სამხედრო-სავალდებულო სამსახურის ვადის შემცირებამ ოცდახუთიდან შვიდ წლამდე და სხვ. ფეოდალიზმის არტახებიდან გაათავისუფლა მრავალენოვანი ქვეყანა. იმპერიაში მცხოვრები ებრაული მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, ე. წ. „ცუდ ებრაელებს“ შეზღუდული სამოქალაქო უფლებები ჰქონდათ. მათ თავიანთი „განსახლების ზოლიდან“ გამოსვლა და სხვაგან ცხოვრება, მუშაობა ეკრძალებოდათ. შეზღუდული ჰქონდათ განათლების მიღების შესაძლებლობა (Израель Бергль, 2012, გვ. 9-37). უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ „კარგი ებრაელები“, მრეწველ-ბანკირები, პირველი გილდიის ვაჭრები; ოსტატ-ხელოსნებს, სამხედრო მოსამსახურეებს მხოლოდ 1865 წლის კანონით მიეცათ სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობისა და კომერციული საქმიანობის უფლება (Джон Клиер, 2012, გვ. 31-33). სტატისტიკური მონაცემებით ვილნოს (დღ. ვილნიუსი, ლიტვის რესპუბლიკის დედაქალაქი), კიევის, პეტერბურგის ქვეით პოლკებში ებრაული ეროვნების „დაბალ ჩინოსანთა“ რიცხვი 15-20%-ს აღწევდა. მათ შორის იყვნენ: მეკრავები, თერძები, მექუდეები, მეზუკეები, მედოლეები, სამხედრო ორკესტრის მუსიკოსები და სხვ. (Иоханан Петровский-Штерн, 2012, გვ. 79), რომლებმაც რუსული წერა-კითხვა იცოდნენ. ებრაელი ინტელექტუალები, შეძლებული ინტელექტუალიზაცია სახსრებს არ იმუშავებდა, რათა ცალკეული ებრაული თემების (კავალა) დაქსაქსული წრეები გაეერთინებინათ ეროვნული თვითშეგნების საფუძველზე. ამის საშუალებას იძლეოდა, მიუხედავად მკაცრი ცენზურის არსებობისა, მრავალტირაჟიანი ებრაული სულისკვეთების მატარებელი გაზეთები, მასობრივი რუსულენოვანი მედიის პერიოდული გამოცემები, ალმანახები, ჟურნალები და ხელმისაწვდომი ფასის სხვადასხვა შინაარსის წიგნაკები (Д. А. Ельшичев, 1999, გვ. 59-92). 1841 წლიდან მასობრივი ტირაჟით გამოდიოდა გაზეთი „ჩრდილოეთის ყვავილები“ (ჰორხეი ციგონ), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ებრაულ რუსულენოვან „საგანმანათლებლო ჟურნალისტიკას“ (პა მესევი). ამ ტიპის გაზეთები გამოდიოდა პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში, ოდესაში და სხვ. 1860 წელს ვილნოში, რომელიც იმ დროს არა მარტივ ებრაული, არამედ საერთოდ ევროპული კულტურისა და განათლების ცენტრს წარმოადგენდა, გამოსვლას იწყებს გაზეთი „ჰა კარმელი“-ი (1812 წელს საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ ბონაპარტემ მას (ვილნოს) „ჩრდილოეთის იერუსალიმი“ უწოდა).

გაზეთის სახელწოდება დაკავშირებულია ბიბლიურ, ებრაულ კარმელის მთასთან და მის სიმინდეებთან. ბიბლიური ნაქალაქარის მახლობლად დღეს პატარა არაბული სოფელია „კარმილია“, ხევრონიდან სამხრეთით, 10 კმ-ის დაშორებით, ნეგევის გზაზე. როგორც ჩანს, გაზეთი „ჰა კარმელი“ საქართველომდეც აღწევდა. 1863 წლის მარტის თვის ერთ-ერთ, 49-ე ნომერში გამოქვეყნდა ახალციხელი „სამხედრო მოსამსახურის“, წარმოშობით ვარშაველი ებრაელის წერილი აჭარის იუდეველების შესახებ. სტატიაში საუბარია ბათუმსა და მის შემოგარენში მცხოვრებ ქართველ ებრაელებზე, რომლებიც იმ დროისათვის ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობდნენ. ისინი დაუბრკოლებლად ჩადიოდნენ ახალციხეში სავაჭრო მიზნებით (ახალციხის ფაშისაკი 1829 წლის ანდრიაპოლის დეკლარაციით, როგორც საქართველოს სამეფოს ისტორიული ნაწილი, რუსეთს შეუერთდა). მათ ახალციხეში, როგორც ჩანს, რეგულარულად ჩამოჰქონდათ მინათმოქმედების პროდუქტები, ყველანაირი ნაყოფი: ხილი, თხილი, ყურძენი. გარდა ამისა თამბაქო და ზაზუნა. კორესპონდენციაში აღნიშნულია ის გარემოება, რომ ეს ქართველი ებრაელები ვაჭრობასთან ერთად მინათმოქმედებითაც ყოფილან

დასაქმებული. ავტორის ყურადღებას არ გამოორჩენია ისიც, რომ ახალციხეში ჩამოსული ეს ვაჭრები „აუცილებლად მიდიან ქართველი ებრაელების სინაგოგაში (უნდა ვიფიქროთ, რომ იქ ევროპულ ებრაელთა – აშკენაზების სალოცავიც არსებობდა. ქ.ლ., გ.ლ., ზ.ქ.), რადგან მხოლოდ მათთან მეგობრობენ და მათკენ მიიღვციან“-ო, ხოლო „რაც შეეხება რუსეთიდან ჩამოსულ ებრაელებს, ისინი იგნორირებულნი ჰყავთ, თუმცა სიძულვილი მათ მიმართ არ გააჩნიათ“. გაზეთის აღნიშნული ნომერი იმასაც გვაძვინძობს, რომ ქართველი გლეხები და ქართველი ებრაელები თანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ, ერთნაირად განიცდიდნენ მოთარეშე მთიელი ტომების თავდასხმებს. ისინი იძულებულნი იყვნენ თავი დაეცვათ და შეიარაღებულნი დადიოდნენ. არსებული მონაცემებით (Ишхак Давид, I, 1990, გვ. 183-184) მათ ახალციხიდან გაჰქონდათ სხვადასხვა წერილმანი, სახელოსნო, ძირითადად საგალანტერეო ნაწარმი. ამ ჩამოსულ ვაჭრებს შორის ცხოვრობდა ბათუმელი შიმშირ ფალალაშვილი, რომელსაც საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა ყარსთან, ოლთისთან და სარიყამითან. აღნიშნული ინფორმაციას ავსებს წარმოშობით პოლონელი ებრაელის (?) იპოლიტ იაროშევსკის ცნობები, რომელიც აფშერონის ქვეითი პოლკის ოფიცერი გახლდათ, ის XIX ს-ის სამოციანი წლების ბოლოს იმყოფებოდა ახალციხეში. მისი დაკვირვებით „ახალციხის ფაშისაკის ებრაელობა არაფრით განსხვავდება ევროპული ებრაელებისაგან, გარდა სამოსელისა და სალაპარაკო ენისა“. ახალციხეში არსებული ებრაული თემი – კავალა თავისი სინაგოგით, „ისინი უმცირესობაში არიან. ივკებებიან როგორც ქართველები, რომლებიც განსაკუთრებულად არ ძალადობენ მათზე“ (Маршай Вонс, 2014, გვ. 32).

მოტანილ ამონარიდებს გარკვეულწილად ეხმაურება მოსკოვის ლაზარევის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის (დაბად. 1866 წ. ქ. გორში, გარდა. 1912 წ. დაკრძალულია თბილისის დიდუბის პანთეონში) ნაშრომი „ქართველი ებრაელები“, რომელიც თითქმის უცნობია ჩვენს ისტორიოგრაფიაში (იხ. Chachanow A., 1907, გვ. 33-37). დაიბეჭდა გერმანულ ენაზე, ბერლინის სამეცნიერო ჟურნალში. ის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ისინი ძველთაგანვე „მისდევდნენ მინათმოქმედებას და ვაჭრობას“, „წარმოადგენდნენ ქართველი მეფეებისა და თავად-აზნაურების ყმებს“. ამასთან არსებობდნენ ებრაელი „საეკლესიო და სამონასტრი ყმებიც“. დროთა განმავლობაში მათ „თავისი ენა დაკარგეს და ქართულად მეტყველებდნენ. სოფლებში ქართულად აცვიანთ ჩოხა ქამარ-ხანჯლებით. ხაზგასმით აღნიშნულია: „საქართველოში ებრაელების თავისუფლება არავის არასდროს არ შეუზღუდა“ (გვ. 34). თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული სამეცნიერო სტატია გერმანიის ფოლკლორის და ებრაული ხელოვნებისა და ისტორიული ძეგლების შეგროვებისა და დაცვის საზოგადოებების სამეცნიერო ორგანოში დაიბეჭდა, მაშინ გასაგები გახდება მისი რეზონანსული მნიშვნელობა ანტისემიტის სენით დაავადებულ ევროპაში. ამასთანავე აღ. ხახანაშვილი აღსანიშნავია რომ, პროფ. გახლდათ ერთ-ერთი მუდმივი ავტორი პოპულარული „ბროკჰაუსისა“ და ევფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონისა“ (СПБ 1890-1907 წწ.).

1929 და 1930 წლებში ქართველი ებრაელების კულტურის შესასწავლად მოსკოვის ცენტრალურმა ხალხთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ შემოიარა საქართველო, შემდეგ გამოიცა კვლევის შედეგები მუზეუმის შრომებში (Плесецкий М. გვ. 178) უზვად ილუსტრირებული მონოგრაფიის სახით. ჩატარებული კვლევის თანახმად ქართველ ებრაელებსა და ებრაელთა სხვა ჯგუფებს შორის საერთო ძალზე მცირეა, როგორც მატერიალური კულტურით, ასევე ენობრივად. „ქართველი ებრაელები უცხოა ევროპული ებრაელებისათვის. რაც მათ აერთიანებს, ეს რელიგიაა. „ქართველმა ებრაელებმა სრულიად შეითვისეს ქართული მატერიალური კულტურა, ენა, ხელოვნება (მუსიკა, ცეკვა და სხვ.) და ხასიათიც კი. ამის გამო ქართველებისგან მათი გარჩევა ძნელია“ (პლისეცკი, დასახ. ნაშრ., გვ 35-38).



ექსპედიციის მიერ შეგროვებული მონაცემებით, მათ შორის საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, მ. პლისეცკი (შემდგომში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმის დირექტორი) დაასკვნის: „ქართველი ებრაელები მთლიანობაში ისევე ცხოვრობენ, როგორც მათი კარის მეზობლები – ქართველები, დგამით და სამოსით. აშკენაზებისაგან განსხვავებით მათ არაფერი სპეციფიკური არ შეგორჩენიათ“. ოსმალეთში ისინი შევიწროვებას განიცდიდნენ და საქართველოში გადმოდიოდნენ გურიის გავლით. კომპაქტურად სახლდებოდნენ იმერეთსა და სამეგრელოში. მოსკოვში, სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონდებში ინახება 1890 წელს გადაღებული ქართველ ებრაელთა სურათები, რომლებიც ნათქვამის საილუსტრაციო მასალად გამოდგება.

1890 წელს თბილისში, ე. ხელაძის ტიპოგრაფიაში, დაიბეჭდა ვინმე ნ.მ. დაკიშვილის მიერ „შედგენილი“ პატარა წიგნაკი გზამკვლევი „ბათუმი“, რომელიც ქართულად თარგმნა და კომენტარი დაურთო პროფ. თ. სურმანიძემ (ნ.მ. დაკიშვილი, 2011, გვ. 5-54). ბათუმის დედა-სამშობლოსთან შეერთებიდან 12 წლის გასვლისა და რუსული იმპერიული მმართველობის დამყარების შემდეგ სტატისტიკური მონაცემებით ბათუმში 15400 ადამიანს უცხოვრია, მათ შორის 3000 სული თურქეთის ქვეშევრდომი ყოფილა. ქართველების რიცხვი 4620 აღწევდა, რუსებისა კი დაახლოებით 2330. ებრაელების, მათ შორის ქართველი ებრაელების რაოდენობა 530 იყო. მომდევნო წლებში მათი რაოდენობა, ქალაქის ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად, იზრდებოდა, რაც დასტურდება არა მარტო რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალებით, არამედ აჭარის სახელმწიფო არქივის, მათ შორის „საიდუმლო ისტორიული ფონდის“ მასალებით, რომელიც სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

### გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დაკიშვილი ნ. მ., ბათუმი, წიგნი თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო რამაზ სურმანიძემ, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2011;

Бергль И., Между имперской историей и национальной историографией. Кр. История еврейского народа в России. От разделов Польши до падения Российской империи 1772-1917. გამომცემლობა «Гешарим», Иерусалиმ, т. II, 2012;

Вонс М., Образ евреев в польских описаниях Кавказа. Кр. Страницы истории и культуры евреев Грузии. «Сефер», 2014;

Давид (დავითაშვილი) И., История евреев на Кавказе, I, II. Тель-Авив, 1990;

Ельшичев Д. А., Правительственная политика и еврейская печать в России 1797-1917, Очерки истории цензуры, Иерусалим, СПб, 1999;

Клиер Д., Развитие законодательства о евреях в Российской империи (1772-1881), Кр. История еврейского народа в России, т. II Иерусалим, изд. «Гешарим», Москва, изд. «Мосты культуры», 2012;

Петровский—Штерн И., Евреи и армия: социально-культурные аспекты, Кр. История еврейского народа... т. II, Иерусалим — Москва, 2012;

Плесецкий М., Религия и быт грузинских евреев. Труды Государственного центрального музея народо-ведения, Изд. Московский рабочий, М.-Л., 1931;

Chachanow A., Die Grusishen Juden Mitteilung zur Judischen volkskunde, XXII, Heft 2, Berlin NW verlag S. Caluaru und Co, 1907.

<sup>1\*</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის DI/26/2-101/14 ფარგლებში. პროექტის ხელმძღვანელი იერუსალიმის უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი კონსტანტინე ლერნერი.

# ისტორიის ფურცლები

**ოსკარ შინდლერი**  
 1974 წელს ქ. შილდშეიმის მოხუცთა სახლში გარდაიცვალა 66 წლის მამაკაცი. მიცვალებულს ქრისტიანულად აუგეს წესი და თანახმად მისივე ანდერძისა, გვამი ისრუსალიმში გადასვენეს. მას ეწადა ამ ქალაქში დასაფლავებულიყო — ასეც მოხდა. ეს იყო ოსკარ შინდლერი — ერთ-ერთი იმ 525 გერმანელთაგან, რომელთაც ებრაელობამ „სამყაროს წმინდანის“ ტიტული უბოძა (ამ ტიტულს ანიჭებს იერუსალიმი მუზეუმი „იადვაშემი“ — „ხელი და ხსოვნა“ — იმ არაებრაელთ, რომელთაც მეორე მსოფლიო ომში თუნდაც ერთი ებრაელის სიცოცხლე იხსნეს ფაშისტებისაგან)

**ბენცი ისხენებს:**  
 დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში 2500 გერმანელმა იხსნა ებრაელთა სიცოცხლე. ანტისემიტობის ისტორიის შემსწავლელი ცენტრის დირექტორმა ვოლფანგ ბენცმა გაიხსენა ჰანს როზენტალის გადარჩენის ამბავი. ომის შემდეგ როზენტალი ცნობილი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი გახდა. იგი შეიფარა უბრალო ქალმაფრაუ იაუხმა. წარმოდგინეთ ერთი ჩვეულებრივი პატარა ბინა ბერლინში. არა-რა დაძმმარე სათავსო, მიღის ომი, პროდუქტი საბარათე სისტემით გაიცემა. ძნელად ასახსნელია ეს ქალბატონი, თუ როგორ, რა ხერხებით კვებავდა როზენტალს არა ერთი ან ორი დღე, არამედ 1944 წლის აგვისტომდე, მერე კი დაავადდა და გარდაიცვალა. როზენტალი ფრაუ იაუხის მეზობელმა — ფრაუ შენბერგმა შეიფარა. შენბერგს სხვა მეზობლებიც ეხმარებოდნენ. ახალგაზრდა არავინ არ გასცა. ვოლფანგ ბენცი იგონებს ერთ მეძავე ქალს (სახელი უცნობი დარჩა) მეძავე გოგონა, კლიენტებს ალექსანდრე-ლატან რომ დაეძებდა, თავის ბინაში არა მხოლოდ იფარავდა ებრაელებს, ერთ ღამეს მთელი ქალაქი ფეხით გადასერა ნაცნობი ებრაული ოჯახისათვის მოსალოდნელი სამიშროება რომ შეეცდებინათ.

და ეს მაშინ როცა ქალაქი იბომბებოდა. ყოველი მათგანი თან ნამოიყვანა და შეიფარა.

**გრაფინია ფონ მალცანი**  
 სხვადასხვა დროს მის ბინაში თავი გადაიჩინა სამოცამდე ებრაელმა, მომავალში ამათ შორის ერთ-ერთი — ჰანს შირშელი — მისი ქმარი გახდა. გრაფინია შირშელს ტახტში მალავდა. შემორჩენილია ასეთი ამბავი: როცა გრაფინიას ბინას ეგესტაპოელები დაესხნენ თავს და ჩხრეკა ჩაატარეს, ოთახში მამაკაცის ტახტსავე იპოვეს. გრაფინიამ ძალიან მშვიდად თქვა:

— ალბათ, შეიტყობდით, რომ ახლახან ბავშვი გავაჩინე. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ბავშვი წმინდა სულისგან არ შექმნილია — ჩვეულებრივი მამაკაცია. ტახტს რაც შეეხება, არ იღებ. თუ ხეებათ, ავტომატის ჯერი მიუშვით, მხოლოდ წინასწარ ხელწერილი უნდა მომცეთ, რომ ტახტის რესტავრაციის ხარჯებს ამინაზღაურებთ.

გესტაპოელები წავიდნენ. გასაკვირი არის ის, თუ როგორ გადაარჩინა ებრაელთა ერთი ჯგუფი: მათთან ერთად ტყის ბოლოებში იარაღების ტბამდე. ტბის პირას შევიცარიის მხრიდან პირობით ნიშანს ელოდა, როცა ეს ნიშანიც გამოჩნდა, ტბა გადაცურა — ჯგუფი მკვიცარიიამ გადაიყვანა და უკან დაბრუნდა. ორი საათი იქით მიცურავდა და ორი საათი — აქით. მიუხედავად იმისა, რომ ტბაზე ნაცისტთა საპატრულო კატერები დაძრწოდნენ.

უშიშარი ქალი იყო, რომ დაეჭირათ, გრაფინიამ ვერ უშვებდა.

**ერვინ დოლდი**  
 ერვინ დოლდი შტუტგარდის ახლოს დაუტყვერდნის საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი მას შემდეგ გახდა, რაც ფრონტზე მიმედ დაიჭრა. ბანაკში არ იყო ტანსაცმელი, არ იყო ნაწილები. ერვინ დოლდმა SS-ის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბანაკში „ეპიდემიის გამო“ კარანტინი გამოაცხადა. ამით 2000 ძალაგამოლეულ ტყვეს სულის ამოთქმის საშუალება მისცა, გააუქმა „მიკვდინების ბლოკი“ და მოითხოვა ბანაკის ექიმები გამოეგზავნათ. ამ მოთხოვნას სერიოზული

მიზეზით ასაბუთებდა: „ტყვეები, რომლებიც გერმანიის გამარჯვებისათვის შრომობენ, ჯანმრთელი უნდა იყვნენ.“ ერვინ დოლდი ერთადერთია რაიხის საკონცენტრაციო ბანაკების იმ კომენდანტთაგან, რომელიც სასამართლომ გაამართლა. სასამართლო პროცესზე ერთ-ერთმა ნაცყვევარმა ებრაელმა წამოიძახა: „ზეცას მეფთხოვ, აკურთხოს ეს კაცი, მისი შვილები და შვილიშვილები!“

## ღიას, სამუხაროდ, გერმანელი ვარ!

1952 წლის 13 აგვისტოს საბჭოთა კავშირში ტყვეობისას გარდაიცვალა ვილჰელმ ხოზენფელდის შვილი



მოთმობილი სიტყვებს „ღიას სამუხაროდ, გერმანელი ვარ“ თავის „ვარშავურ დღიურში“ იგონებს ხოზენფელდის მიერ გადარჩენილი პიანისტი ვლადისლავ შპილმანი: „გაუბედე და ვკითხე: „თქვენ გერმანელი ხართ? იგი განითქმა, თითქოს გამინაწყენდა და მიპასუხა: „ღიას, სამუხაროდ, გერმანელი ვარ!“ კარგად ვიცი, თუ რა ხდებოდა აქ, პოლონეთში და მე მრცხვენი ჩემი ხალხის!“ კაპიტანი ხოზენფელდი, რომელმაც ცეცხლმოდებულ ვარშავაში სპილმანი იხსნა, საბჭოთა კავშირის სამხედრო სასამართლომ გაასამართლა და 25 წელი ბანაკში ტყვეობა მიუსაჯა. გერმანელს მის მიერ გადარჩენილი პოლონელები და ებრაელები გამოესარჩლენ, დაწერეს უამრავი თხოვნა, ამათ — არაფერმა არ უშველა.

2009 წლის 21 ივნისს ვილჰელმ ხოზენფელდი „სამყაროს წმინდანად“ იქნა აღიარებული.

## მნადია ყველა გადავარჩინო...

გიუნტერ კრულლი პინსკის სამხედრო სატრანსპორტო კვანძის უფროსი იყო. მასთან სამუშაოდ მოჰყავდათ გეტოში ჩამწყვდეული ებრაელობა. კრულლმა ყმანვილ კაცს ერუშიმ რაბინოვს უთხრა: „მე მნადია ყველა გადავარჩინო, მაგრამ ეს შეუძლებელია, შევეცდები შენ მაინც გიხსნა.“ ბერლინელი ექიმის შვილმა გიუნტერ კრულმა ეს დანაპირები შესარულა: ერუშიმ რაბინოვს ჯერ მთელი თვე იფარავდა, მერე პეტრე რაბცევიჩის სახელზე საბუთები გაუკეთა და კიევში გაუშვა, თითქოს კიეველი რუსი იყო. პეტრე რაბცევიჩმა თავისი გადარჩენის ამბავი „იადვაშემის“ მუზეუმს გადასცა, თავის გადამრჩენელს დიდხანს დაემეძა, მაგრამ ცოცხლებს შორის ვეღარ იპოვა — 1979 წელს გარდაცვლილა. 1999 წლის იანვარში კი კრულლის ქვრივს გადაეცა „იადვაშემის“ დიპლომი მასზე, რომ მისი მეუღლე გარდაცვალების შემდეგ აღიარებული იქნა „სამყაროს წმინდანად“ იმის გამო, რომ ერთი ებრაელის სიცოცხლე იხსნა. თუმცა, იმ ერთ კაცს — რაბცევიჩს გაუჩნდა შვილები, შვილიშვილები.

ხომ ვამბობთ ებრაელები: „ის, ვინც ერთ ადამიანს სიკვდილისაგან იხსნის, კაცობრიობის გადამრჩენია!“

## ჩვენ გადმოვირავებთ სამყაროში ვცხოვრობდით

ომის შემდეგ დანია დიდი ალფრთოვანებით შეეგება ახალი გერმანიის ელჩს ფერდინანდ დუკვიცს, რომელიც ომის წლებში კოპენჰაგენში გერმანიის საზღვაო ატამე გახლდათ. დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს სწორედ ფერდინანდს ამ ატამემ — ფერდინანდ დუკვიცმა

შეატყობინა, რომ სამ დღეში ამ ქვეყნის ებრაელობას ქალაქებიდან წაასხმდნენ და გაანადგურებდნენ. ამით დაედო სათავე დანიის ებრაული თემის გადარჩენას — დანიელებმა თავიანთი ღირსების საქმე აღასრულეს და ამით არა ერთი, ან რამდენიმე პიროვნება, მთელი ერი გახდა „სამყაროს წმინდანის“ ტიტულის მატარებელი. ომის შემდგომ წლებში დანიის მთავარი რაბინის შვილი ვერნერ-დავიდ მელქიორი წერდა: „გესტაპოს რომ შეეცყო, თუ საიდან გაუჩნა ინფორმაცია, საზღვაო ატამე დუკვიცი საკუთარი სიცოცხლით აგებდა პასუსს“

ამის საპასუხოდ გადმოგვბოდა დუკვიცის ჯერ კიდევ ომის წლებში

მიმდინარეობდა ომი, პროდუქტებზე იყო საბარათე სისტემა შავ ბაზარზე ყველაფერს უზარმაზარი ფასი ედო — რა ექნათ?

ებრაელებს ეხმარებოდნენ საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, ყველა დიდ რისკს ენერდა — განა მეძავეები ნაკლებ საფრთხეში იგდებდნენ თავს, ვიდრე საზოგადოებრიობის სხვა ფენების წარმომადგენლები? ზოგიერთ ანტისემიტსაც კი გადაუჩინია ებრაელები. ისინი ასეთი ლოგიკით მოქმედებდნენ: ებრაელი უცხოა, რატომ უნდა მიყვარდეს? მაგრამ კაცის კვლა დაუშვებელია, ადამიანის მოკვდინება ცრდვაა, მკვლელებს ხელს თუნდაც იმისათვის შეეშობი, რომ მე კაცად დავჩრე!

## იყვნენ თუ არა გმირები?

კიდევ რამდენიმე სახელი: **რობერტ იერნიცივი** — ბერლინში მალაზიის მფლობელი ებრაელ ცოლქმარს ჰელ და კურტ რიდებს რომ იფარავდა,

**ანტონ შმიდტი** — გერმანიის არმიის სერჟანტი, რომელიც 1942 წელს სიკვდილით დასაჯეს იმის გამო, რომ ვილნიუსის გეტოში ებრაელებს დახმარება აღმოუჩინა,

ვერმასტის ოფიცერი **ვალტერ როზენკრაცი**, დატყვევებული პარტიზანი ებრაელი გოგონას — ხანა გობერგის სიცოცხლე რომ იხსნა და ხანას ბოლო სიტყვები: „ყველა გერმანელს არ დაუკარგავს ადამიანობა“ უთხრა,

**გერჰარდ კურცბახი**, კრაკოვთან ახლოს, ბონინსკის გეტოში რამდენიმე ასეული ებრაელის სიცოცხლე რომ იხსნა — 1945 წელს გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სამხედრო ტყვეთა ბანაკში,

**ოტილია შიმელჰენცი** — ებრაელი გოგონა ზივონის სიცოცხლე იმით იხსნა, რომ თავის მშობლებს დაუპუღ ნათესავად გაასალა,

ქალაქ პშემიშლის კომენდანტი მაიორი **მაქს ლიდეკე** და მისი თანაშემწე **ალბერტ ბატელი** — 1942 წელს მშის ჯარისკაცებს არ მისცეს ებრაელთა გეტოში შეჭრის უფლება და ამით ასეულობით ებრაელის სიცოცხლე გადაარჩინეს. როცა ქ. პშემიშლი საბჭოთალების ტყვე გახდა და ბანაკში გარდაიცვალა. ალბერტ ბატელი კი 1952 წელს გულის შეტევით მიიღვა. ორივე — მაქს ლიდეკე და ალბერტ ბატელი — სიკვდილის შემდეგ „სამყაროს წმინდანებად“ გამოცხადდნენ,

აი, ასეთი ადამიანებიც იყვნენ. გახლდნენ თუ არა ისინი გმირები? იოლი გადასანყვეთი არ იყო — გადაერჩინათ თუ არა, ებრაელთა სიცოცხლე — ადამიანი თავისი, მთელი ოჯახის არსებობას, დიდი საფრთხეში აგდებდა — გესტაპოს 1941 წლის 24 დეკემბრის ბრძანების თანახმად, ადამიანი, რომელიც ებრაელს დახმარებას აღმოუჩენდა, გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში იგზავნიდნენ. მეტიც, ებრაელთა შემწე „ერთიანი გერმანელი ერის“ რიგებში აღარ იხსენიებოდა-იგი კარგავდა თანამემამულეთა დახმარების უფლებასა და თანაგრძობას. ამ „დანაშაულის“ გამო სიკვდილით დასჯილი ანტონ შმიდტის მეუღლეს ფანჯრებზე აფურთხებდნენ,

ერთ-ერთმა ბანკირმა ებრაელებს 100 ათასი მარკა გადაურიცხა, არავინ იცის ვინ იყო იგი — ამ კაცმა თავისი ვინაობა სიკვდილის შემდეგაც კი არ გააცხადა — გერმანელი ისტორიკოსი პეტერ შტაინბახი ამის მიზეზად ერის უსახელი საქციელის გამო სირცხვილის გრძობას მიიჩნევს. სრულიად სხვადასხვა პატიოსან ადამიანებს სირცხვილის გრძობა ნამდვილად აწუხებდა და აერთიანებდა. ყველამ იცის ალ. ტვარდოვსკის სტრიქონი: „ვიცი, რომ მე არა-რა ბრალი არ მიმიძღვის, ამაზე არც რამეს ვამბობ, მაგრამ მაინც... მაგრამ მაინც... მაგრამ მაინც...“ მაგრამ ყველამ არ იცის გერმანელი ფილოსოფოსის კარლ იასპერსის თეზა: „ჩვენ, გადარჩენილი გერმანელები სიკვდილს არ ვეძებდით, ჩვენ არ გვაპატიმრებდნენ, ისე როგორც ჩვენს ებრაელ მეგობრებს, ქუჩაში არ გვერეკებოდნენ, არც სიკვდილით არ გესჯიდნენ. ის, რომ ჩვენ ცოცხალნი ვართ, ჩვენი ბრალია!“

ამ სიტყვებს რაღა უნდა დავსძიოთ?

# საკვალლო ინფორმაცია

დრო მიდის, დრო ცვალვებადი და მის უღმობელ მდინარებას ბევრი რამ ახალი მოაქვს. ამ სიახლეთა შორის ყველაფერი როდია მისაღები და სასიამოვნო, მაგრამ დროის ცვალვებადობას ვერავინ და ვერაფერი ვერ ალუდგება — როგორც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი- ნეგატიური, თუ პოზიტიური, ის მაინც თავისი გზით ივლის. ამგვართა შორის გახლდათ ის ინფორმაცია, რომელიც 21 ივნისს ისრაელში გამომავალმა ერთადერთმა ქართულენოვანმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის გამოცემამ-გაზეთმა „ალია საქართველოდან“ გაავრცელა. გაზეთმა მკითხველს აუწყა, რომ არსებობას წყვეტს-2017 წლის 21 ივნისიდან გაზეთი „ალია საქართველოდან“ აღარ გამოვაო.

გაზეთი თავის მკითხველს ცხადია, სინანულით დაემშვიდობა.

რა შეიძლება დღეს, როცა იხურება მისი ცხოვრების წიგნი, ითქვას ამ გაზეთის თაობაზე?

საკვალლოთად ცნობილია: მკითხველი მრავალგვარია — სხვადასხვა დონის კულტურის, განათლების, მსოფლშეგრძნების, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი, ამდენად, ბუნებრივია, ამ გაზეთისადმი დამოკიდებულებაც სხვადასხვაგვარი გახლდათ და გახლავთ დღესაც: ზოგს იგი მდებალი დონისად მიაჩნდა და მიაჩნია, ზოგს-გამომცემლის ბიზნესინიციატივად, ზოგს კი ერთობ საინტერესო ორგანოდ ესახებოდა და ისრაელში რეპატრაციის სირთულეს უადვილებდა-განსაკუთრებით რეპატრაციის პირველ წლებში ამ გაზეთის გარეშე არსებობაც კი ვერ წარმოედგინა. ასე რომ დამოკიდებულება, შეფასება სხვადასხვაგვარი იყო და მომავალშიც ალბათ, ასევე იქნება, ჩვენ კი ჩვენის მხრივ, ვისთვისაც ამ გაზეთის სტილი, ენა, ვიზუალური სახე საუკეთესოდ არ მიიჩნევა, ვიტყვით: გაზეთმა „ალია საქართველოდან“, დადებითი როლი შეასრულა ისტორიულ სამშობლოში მიბრუნებულ ჩვენს თანატომელთა ცხოვრებაში. მიუხედავად შეფასებათა ნაირგვარობისა, ყველაზე მკაცრი ოპონენტიც კი, თუ ის შეეცდება ობიექტურად შეაფასოს ამ გაზეთის როლი და ადგილი ისრაელის ქართველი ებრაელობის ცხოვრებაში, გვერდს ვერ აუქცევს იმ გარემოებას, რომ „ალია საქართველოდან“ გახლდათ ერთადერთი ტრიბუნა, რომელიც ცდილობდა და ზოგჯერ წარმატებითაც, ისრაელის ქართველ ებრაელთა შორის ჩამოყალიბებინა საზოგადოებრივი აზრი. ამგვარი კატეგორიული მოსაზრება ისე არავინ გამიგოს, თითქოს მხედველობიდან მრჩება ხაიმ ხუბელაშვილისეულ ჟურნალ „დროის“ არსებობა, რომლის გამოცემაც ასე უღვთოდ შეწყვიტეს პარტიულმა ჩინოვნიკებმა. არა, ასე არ არის და ამ ჟურნალის მისიაზე კვლავაც ისეთივე დადებითი აზრისა ვარ, როგორც ვიყავი ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ, როცა მის საიუბილეო კრებულს ვამზადებდი, მაგრამ ყოველკვარტალური ჟურნალი ვერაფრით ვერ ითავებდა და, რამდენადაც ვიცი, არც ჩემულობდა, მოსახლეობის ინფორმირებისა და საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბების მისიას. შესაძლოა, გაზეთ „ალიას“ მესვეურთა პოზიციიდან გამომდინარე, მისი ფურცლების მეოხებით

შექმნილი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის არ იყო მისაღები, წინ გადადგმული ნაბიჯის მაუწყე, შესაძლოა, ვოლუნტარიზმის ნიშნებსაც ატარებდა და კონკრეტული პირების ინტერესების სამსახურშიც იდგა, მაგრამ ეს იყო ცოცხალი პროცესი და ამ პროცესში პროგრესის უთუო ნიშნებიც იკითხებოდა: ამ გაზეთის ფურცლებზე შეპირისპირება განსხვავებული პოზიციებისა, ცალკეულ მოსაზრებათა დამკვიდრების მცდელობა, ქართველ ებრაელთა ქუჩაზე პროგრესის მაუწყე გახლდათ და საამისოდ თუნდაც ერთ, ჩემთვის უკეთ ნაცნობ მაგალითს მოვიშველიებ: გაზეთის გამომცემლისა და რედაქტორის დამოკიდებულება საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის (სემკ-ი) სტრუქტურული არქიტექტურისადმი, იმ ეტაპზე გაღიზიანებას ინვევდა, მაგრამ განვილილმა დრომ, ამ დროის განმავლობაში სემკ-ის მუშაობის სტილმა, მისმა როლმა ქართველ ებრაელთა ცხოვრებაში, დაადასტურა რომ ოპონენტი საღად განიხილავდა საკითხს და მაშინ რომ მისი, თუნდაც ზოგიერთი დებულება სერიოზულად ყოფილიყო შესწავლილი იქნებ, დღეს, სულ სხვა- უმჯობესი რეალობის წინაშე ვმდგარიყავით.

\*\*\*

პროგრესისაკენ სვლა კი მაინც იქიდან იწყება, როცა ისტორიულ სამშობლოში მიბრუნებულ ქართველ ებრაელობას გაუჩნდა გაზეთი-მესიტყვის, ტრიბუნის შექმნის აუცილებლობა და შექმნეს კიდეც — რეპატრაციის პირველ წლებში, იქნებ, „ალიის“ პარალელურადაც კი, გამოდიოდა სხვადასხვა ხასიათის გაზეთი, ან წინასაარჩევნო სარეკლამო ფურცლები, მაგრამ ვერცერთმა ამ წამოწყებამ ვერ გადასწონა „ალიის“ არსებობა. როგორც ჩანს, მისმა დამაარსებლებმა სათავეშივე ისეთი რამ ჩასდეს, საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პულსაციას მიაგნეს, რომელიც გაზეთის სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებდა. არაერთი ადამიანი შემხვედრია დაბეჯითებით რომ მიმტკიცებდნენ გაზეთ „ალია საქართველოდან“-ის შექმნის სათავეებთან ვიდექიო, თუმცა, ფაქტს გვერდს ვერ აუქცევ: სწორედ აბრამ სეფიაშვილი გამოიკვეთა იმ ლიდერად, რომელმაც ჩანაფიქრი მნიშვნელოვან რეალობად აქცია. ამჯერად მსურს ხაზი გაესვას ფრაზას მნიშვნელოვანი რეალობა, რადგან ის, რაც ამ გაზეთის არსებობასთან არის დაკავშირებული სწორედ ის რეალობაა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიულ სამშობლოში მიბრუნებული ქართველი ებრაელობის დიდი ნაწილის ცხოვრებაში. მხედველობაში მაქვს საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობა გაზეთის მუშაობაში. ამ წამოწყებამ ცხადია, ბევრის შემტვერი უნიჭობა წარმოაჩინა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თვითნასწავლი ტალანტების გამოვლენის საშუალებაც შექმნა. და რამდენადაც მსმენია, თავად აბრამ სეფიაშვილიც არ გახლავთ განათლებით ჟურნალისტი, ფილოლოგი, მაგრამ გაზეთის „კეთების“ საქმეში დიდი ფხა გამოიჩინა და ათეულობით წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართველ ებრაელთა ერთი დიდი ნაწილის ინფორმაციული ვაკუმიდან გამოყვანის კეთილშობილ საქმეს. თუმცა, ამ შემთხვევაში არსებობს ორი თვალ-

თახედვა: ის ფაქტი რომ გაზეთი „ალია“ თავისი არსებობით მკითხველს საშუალებას აძლევდა ახალ, უჩვეულო გარემოში თავი უცხოდ არ ეგრძნო, ისევე განეგრძოთ ყოფა, როგორც სურამში, თბილისში, ქუთაისსა, თუ კულაში ცხოვრობდნენ, ე.ი. შეენარჩუნებინათ უკვე ჩამოყალიბებული, შექმნილი იდეტობა. ეს, ცხადია, დიდი სიკეთე იყო- რეპატრიანტების, მათთვის სრულიად უცხო გარემოში მოხვედრილი ადამიანების სულის საღბუნე, თუმცაღა, ამავე დროს ქმნიდა ჩაკეტილ სივრცეში ტრიბუნის, სულიერი გეტოში მოქცევის საშიშროებას და გარკვეულწილად ასეც მოხდა- ბევრმა მოიქცია თავი ამგვარ გეტოში, მათთვის ისრაელი ბეით ქნესეთით, მაკოლეთით და „ალიით“ შემოისაზღვრა და ვერ შესწვდა იმ სულიერ (ამდენად, ვერც მატერიულურ!) ფასეულობებს, რომელსაც ისრაელის სახელმწიფო რეპატრიანტს სთავაზობდა. ( კარგად მახსოვს, 90-იანი წლების ბოლოს, იერუსალიმში, იაფოს ქუჩაზე სათემო სახლში დისკუსიას დავესწარი. დისკუსიის მონაწილთაგან ერთი მოითხოვდა ისრაელი აშშ ერთ-ერთი შტატივით ცხოვრობს და ისრაელის ამერიკანისაცაა უნდა დავინყოთო, რუსეთიდან ჩამოსული დეპუტატი — სოლოდკინა სხვაგვარად სვამდა საკითხს: რუსული მწერლობა, თეატრი, კინემატოგრაფია რით არის ამერიკულზე ნაკლები, თანაც ამდენი რუსულენოვანი რეპატრიანტი ჩამოვედით, ცხადია, ისრაელის რუსიფიკაცია უნდა დავინყოთო, რაბინმა კაცმა ისრაელის იუდეიზაცია მოითხოვა. წამოდგა ერთი იტელიგენტური შესახედაობის კაცი და სრულიად სხვაგვარად, ვგონებ, სწორად დასვა საკითხი: ისრაელის ისრაელიზაცია უნდა დავინყოთო). ეს არცთუ სასიამოვნო რეალობაა, რომლის სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას გაზეთი, სურდა მას ეს თუ არ სურდა, ხელს უწყობდა — თუმცაღა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომელი უფრო მნიშვნელოვანია: ის რომ გაზეთი ამ ადამიანებს, რომლებმაც ასეთი გზა აირჩიეს-გზა ჩაკეტილობისა, ისრაელის რეალობასთან ნაკლები ადაპტაციისა, ყოფას უადვილებდა, თუ ის, რომ მკაცრ რეალობაში ერთბაშად ჩატარებულიყო ისრაელიზაციის ე.წ. გადასადუღებელი ქვაბში „მოხარშვის“ პროცესი.

და კიდეც ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ამ გაზეთის არსებობამ განაპირობა აბრამ სეფიაშვილის სხვა აქტივობები. მხედველობაში მაქვს, წინა საუკუნის 70-იან წლებში შოთა რუსთაველის სახ. საზოგადოების შექმნა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ამ საზოგადოებასთან ბევრი წამოწყება დაკავშირებული. ისიც კარგად მახსოვს, 80-იანი წლების დასასრულს, თუ როგორ შეხვდა საქართველო ამ საზოგადოების წარმომადგენლებს, ზოგიერთ ღონისძიებაში თავადაც მივიღე მონაწილეობა. ხოლო რაც შეეხება შოთა რუსთაველის საზოგადოების ეგიდით ვეფხისტყაოსნის ბორის გაპოლოვისეული თარგმანის გამოცემას, მიმაჩნია, რომ ამ გამოცემამ საქართველო( მათ შორის ქართველი ებრაელობაც!) კიდეც ერთხელ წარადგინა ისრაელში, წარადგინა დიდებულად!

ამ გაზეთის ცხოვრებაში კარგად ჩახედულ მკითხველს, ალბათ, არ გაუჭირდება იმის მიხედვით, რომ „ალიას“ თაობაზე ბევრ ინფორმაციას არ ვფლობ. შესაძლოა, ამის გამო სამართლიანად მისაყვედურონ კიდეც, მაგრამ ერთი რამ მამართლებს: არ ვწერ გაზეთის ისტორიას, ეს არ არის ჩემი მიზანი, მე ვეხმეობი გაზეთის არსებობის შეწყვეტის ფაქტს-ეს გაზეთი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ისრაელის ქართველი ებრაელობის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო და არ მსურს მისი არსებობის დასრულებამ უკვალოდ ჩაიაროს-თუნდაც ზოგადი შეფასების გარეშე.

მაგრამ მაინც გვერდს ვერ ავუვლი ერთ კითხვას, რომელიც ეს დღეებია თან მდევს: რამ განაპირობა ამ გაზეთის არსებობის შეწყვეტა, რა უნდა იყოს მთავარი მიზეზი იმისა, რომ ა.სეფიაშვილმა, რედაქციის თანამშრომლებმა ესოდენ მძიმედ მისაღები გადაწყვეტილება მიიღეს და თავიანთ პირმშოს დაემშვიდობნენ?

ვიცი, რომ ისრაელში ძლიერ მცირდება ერთობ მომრავლებული რუსულენოვანი გაზეთების ტირაჟი, ზოგიერთმა გაზეთმა კი თვითლიკვიდაცა გამოაცხადა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისრაელში რეპატრირებულითა ცხოვრების ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ეტაპი დამთავრდა, ან მთავრდება-ის თაობა, რომელსაც რუსულენოვანი, ქართულ თუ სხვა ენებზე გამომავალი გაზეთები სჭიროდათ, ცხოვრების ასპარეზს სტოვებდნენ, ან მათი ადაპტაცია ისრაელის რეალობასთან, მათს შორის საინფორმაციო საშუალებებთან, წარმატებით მიმდინარეობს.

ცხოვრების ასპარეზზე კარგა ხანია გამოვიდა, ცხადია, კვლავაც გამოდის თაობა, რომლისთვისაც ივრითი, ისრაელის რეალობა მშობლიურია და ყოველგვარ ინფორმაციას ამ ენაზე ლეზულობს.

ინტერნეტ სივრცის, ფეისბუქის შექმნამ ბეჭდური მედიის-გაზეთის არსებობის აუცილებლობა თუ არ მოხსნა, საფუძველი მაინც შეურყია. დღეს საკმარისია ერთ პანაი ყუთს მიუჯდეთ და მთელი მსოფლიოს ამბები ხელისგულზე გიდევეთ.

იმასაც მეუბნებიან, ა. სეფიაშვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვსო.

ყველა ეს გარემოება სავსებით ანგარიშგასანვივა და შესაძლოა განაპირობოს კიდეც გაზეთის არსებობის შეწყვეტა, მაგრამ მაინც მგონია, მთავარი მიზეზი არცერთი ამათგანი არ უნდა იყოს. მთავარ მიზეზად საზოგადოებრივი ცხოვრების, საყოველთაო პრობლემებისადმი ინდიფერენტობა, უგულისყურო დამოკიდებულება უნდა იყოს. რატომღაც მგონია, გაზეთის მესვეურებს ეს ძნელად გადასადგმელი ნაბიჯი საზოგადოებრიობის უგულისყურობამ გადაადგმევინა-მას ხომ არც მაშინ ამოუღია ხმა, როცა ისრაელის ქართველმა პარტიულმა ფუნქციონერებმა „დროსას“ მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ახლა კი „ალია საქართველოდან“ სულ სხვა პირობებში, მაგრამ ხომ მაინც...

სავალალოა, ღმერთმანი, სავალალოა!

ბურაბ გათიაშვილი

ალექსანდრა შენაგლია

# „ტობე“ — ვალის საზღაური

ქუთაისსა და მხოლოდ იმერეთში კი არა, მთელ საქართველოშია ცნობილი შპს, რომელიც პროფესიონალმა მშენებელმა თენგიზ ჩირაძემ დააფუძნა და სახელად „ტობე“ დაანათლა.

რატომ მაინცდამაინც ებრაულიდან ქართულად გადმოიწერა სიტყვა? გულწრფელად რომ ვთქვა, მსგავსი კითხვა ისევე ზედმეტად მიმაჩნია, როგორც ჩემი კოლეგისათვის, გაზრდილი „თბილისის“ ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის ოთარ სეფიაშვილისათვის რომ მეკითხა, რატომ გახდა ჩემი სეხნია მისი ვაჟი, რომელიც ჩვენი ერთად მუშაობის დანაშაულებიდან ორიოდ თვეში შეეძინა.

„ტობე“, რომელიც ჩვენს ლექსიკაში ივრითულმა „ტოვ“-მა დაამკვიდრა, კეთილს, სასიკეთოს და ღვთიურად სახიერს ნიშნავს. ამავე სიტყვიდან წარმოიშვა „ტობიშა“ კი ტობე საქმეთა შემოქმედია.

ჩემი და მრავალი სხვა ჩემი თანაქალაქელის მსგავსად, ბატონ თენგიზსაც ჰყავს თავისი ტობიშა. იგი 14 წელიწადია ისრაელში ცხოვრობს და 14 წლის წინათ მის მშობლიურ ქუთაისში ამიტომ დაფუძნდა „ტობე“.

- ტობე საქმეა, ნამდვილი ტობიშა ხარ! — გუშინდელივით მახსენდება თანაკლასელის, დიდი ქუთაისური ებრაული ოჯახის ღირსეული შვილის, მოგვიანებით ჯერ საქართველოში, შემდგომ კი ისრაელში ცნობილი უროლოგის შალვა ჩიკვაშვილის სიტყვები ჩემს მეორე თანაკლასელზე, ასევე დიდი ოჯახის შვილზე, სულგანათლებულ გურამ აბესაძეზე, როდესაც ერთ-ერთი ცნობილი ალპინისტური ექსპედიციიდან დაბრუნებულმა თანატოლებს მოგვითხრო, როგორ გაატარა ზაფხული და სახელგანთქმულ მთასვლელებს როგორ აუბა მხარი სხვადასხვა მწვერვალის დაპყრობისას.

ჩემი ებრაელი მეგობრის დამსახურება იყო, თუ კიდევ ვინმე სხვისა, ამ ორმა სიტყვამ ისე გახედნა ყური, რომ შემდგომში არც კი მიცდია, ჩემი აღმზრდელი პროფესორებისა და ჭეშმარიტად დიდი ენათმეცნიერებისათვის, რომლებთანაც, როგორც ურუნალისტს სისტემატურად მიხედვოდა ურთიერთობა, თუნდაც ერთხელ მეკითხა „ტობესა“ და „ტობიშას“ წარმომავლობა.

მაშ, მაინცდამაინც ახლა რატომ გამახსენდა ეს სიტყვები?

რატომ და, სულ ახლახან შევიტყვე, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „ტობეს“ წლის საუკეთესო მშენებლის საპატიო ნოდება მიენიჭა.

როგორც ამბობენ, საკუთარი სახელო სხეულთან ყველაზე ახლოა და ამიტომ საუბარს იმით დაიწყებ, რომ მეკითხველს შევახსენო, როგორ შეუტყვალა „ტობემ“ იერსახე ხარაზიშვილების ბაღის მოსაზღვრე იმ ოკრო-ბოკრო ქუჩას, სადაც დავიბადე და დღემდე ვცხოვრობ. ამის დავინწყება, ძალიანაც რომ მოვიხდომო, შეუძლებელია, რადგან ქალაქში ყოველ ნაბიჯზე ვხვდები ბეტონ-მზიდებს, რომელთა საფირმო წარწერაა „ტობე“ და მართლაც რომ ბევრ ტობე საქმეს აკეთებს, თანაც არა მარტო სახიერებით, არამედ ჭეშმარიტი ღვთიური მადლით გამოირჩეულს.

გახსოვთ, მონამეთის ტაძარი, სადაც რწმენისა და სამშობლოსათვის ნამებული რაინდები, მარგველი ერისთავები, დავით და კონსტანტინე მხეიძეები განისვენებენ?

თუ დიდი ხანია, არ გინახავთ, აუცილებლად ენვიეთ და დარწმუნდებით, რომ დღეს სულ სხვაგვარად გამოიყურება ათას ქარცეცხლსა და განსაცდელგამოვლილი ეს ღვთის სახლი, რომელიც „ტობეს“ ტობიშებმა შეაკეთეს და დღეს მართლაც რომ სახიერი და ღვთიურია.

შემთხვევით და უმისამართოდ არ წამომცდენია ეს სიტყვები.

როგორც ჩვენი უბრძნესი წინაპარი სულხან-საბა განმარტავს,

„ტობია“ ნიშნავს სახიერ ანუ კეთილ უფალს, ხოლო „ჭეშმარიტი სახიერება იგი არს, რომელი სიმართლისა და სიბრძნისა და ძლიერებისა თანაშემყობილი იყოს, რამეთუ უსამართლო და არაბრძენი და უძლიერი არა არს სახიერ“- გვმოდვრავს მათე მოციქული.

„ტობე“ დააფუძნა და ამ სამშენებლო ორგანიზაციას თავკაცობს ძირძველი ქუთაისელი, ბატონი თენგიზ ჩირაძე.

ინტერესით ვისხენებ მის ზოგიერთ ბიოგრაფიულ მონაცემს და თან „შრომის ნიგნაკს“ ვათვალიერებ

არის 66 წლის, ცოლშვილიანი. მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი, ქალაქის ტუპდისპანსერის მთავარი ექიმი.

ჰყავთ ორი შვილი, სიძე და ჯერჯერობით ერთადერთი, მაგრამ მართლაც რომ წინანატრი ძვილიშვილი, 3 წლის თამარიკო.

მათი ქალიშვილი სალომე უცხოურ ენათა სპეციალისტია და კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტში მუშაობს. სიძე — ვალერი თევდორაძე იურიტიკა, ვაჟი რევაზი კი ეკონომისტი და, იმის გარდა, რომ მამასთან არის დასაქმებული, საკუთარ სამშენებლო ფირმასაც ხელმძღვანელობს.

აი, რამდენიმე ჩანაწერი „შრომის ნიგნაკში“ მას



შემდეგ, რაც 1968 წელს წარმატებით დაამთავრა ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა, 1974 წელს კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტი.

განანილებით მუშაობდა ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობაზე — რიგითი ინჟინრობიდან პოლიგონის უფროსობამდე. 6 წლის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და მე-4 სამშენებლო ტრესტის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის საწარმო-ტექნიკური განყოფილების უფროსად დანიშნეს. 1992 წელს ქალაქის მერიამ გადაიყვანეს. შემდეგ საფინანსო-ეკონომიკურ დარგში რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორის მოადგილე, 1994 წლის ნოემბრიდან კი 4 წლის მანძილზე ბალახუნის მუნიციპალიტეტს თავმჯდომარეობდა. 2000 წლამდე კვლავაც ქუთაისის მერიამა, ამჯერად საბინაო მეურნეობის განყოფილების უფროსად, მომდევნო 3 წლის მანძილზე — მუნიციპალური მართვის განყოფილების უფროსი და სწორედ ამის შემდეგ, 2003 წლის 30 აპრილს აფუძნებს „ტობეს“.

რკინა-ბეტონის საწარმო, რომლის ბაზაზე ეს შპს შეიქმნა, საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლებში ტექნიკური თვალსაზრისით მთლიანად განახლდა და უახლესი დაზგა-დანადგარებით შეეგება საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ იმ უმძიმეს დღეებში მაინც ისევე გაიძარცვა, როგორც საქართველოს თითქმის ყველა საწარმო-დანესებულება, რომელთა უახლესი და უძვირფასესი ტექნიკა ჯართად გაზიდეს მეზობელ ქვეყნებში.

ქუთაისელ მშენებელთა ეს ყოფილი ქარხანა ერთხანს მუნიციპალურად გამოცხადდა და სახელიც ლამაზი — „ბალავერი“ დაერქვა, მაგრამ უკვე წყალნაღებულს ვერც მუნიციპალურ საკუთრებად გამოცხადებამ უშველა და ვერც ახალმა სახელმა — მუშაობა შეწყვიტა და 5 წლის მანძილზე — 2003 წლამდე საერთოდ არავითარი ნაწარმი არ დაუმზადებია.

იმის მიუხედავად, რომ მშობლიური საწარმო საგრძნობლად იყო გაძარცვული, უხელფასოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილმა მისმა თანამშრომლებმა მაინც შეძლეს ზოგიერთი რამის შენარჩუნება, თუმცა, როგორც იტყვიან, ქვა აღმართში წამოენიათ: ქარხანას ვალი დაედო და საგადასახადო ინსპექციამ გასაყიდად აუქციონზე გაიტანა.

„ტობეს“ დამფუძნებელმა კაპიკ-კაპიკ დაგროვილი და ნასესხები თანხით როგორღაც მაინც მოახერხა მისი შექმნა და შპს-ს დაარსება. შემდეგ მან და მისმა მეგობრებმა ეტაპობრივად აღადგინეს ბეტონამრეველები და ინერტული მასალების მიმწოდებელი ბაზი. ამან შესაძლებელი გახდა, რომ

მრავალი წლით უმოქმედობას წერტილი დასმოდა და ათიათასობით ღარი ღირებული ტონობით ბეტონი პირველად მიანოდეს მშენებლებს.

დღეს „ტობე“ უკვე ერთ-ერთი საკმაოდ მძლავრი და კარგი ავტორიტეტის მქონე სამშენებლო საწარმოა. იგი სისტემატურად და ამასთან წარმატებით მონაწილეობს ღია ტენდერებში და დღითიდღე ზრდის თავის შესაძლებლობებს, რაც დადებითად აირეკლება მისი არც თუ მცირერიცხოვანი კოლექტივის თითოეული წევრის საქმად სოლიდურ შრომით საზღაურზე.

არადა, ერთმა რამემ მაინც გამაკვირვა.

კაცს, რომელმაც თავისი აქტიური შრომითი ცხოვრების თითქმის 45 წლის მანძილზე უაღრესად საინტერესო სამსახურებრივი გზა არც თუ უსახელოდ განვლო, მედალი რაა და, მედალიც კი არასდროს მიუღია — არც საბჭოთა წყობილების დღეებში და არც დამოუკიდებელ საქართველოში.

სამაგიეროდ, ნახეთ, რას წერდა მის შესახებ გვიშტებელ ბოკაროდ სახელდებული ოტია იოსელიანი ჯერ კიდევ 2002 წლის მაისში:

„მესაბედნიეროდ, იმდენად კარგად ვიცნობ თენგიზ ჩირაძეს, შემიძლია, ამ უნდო და გაუტა-

ნელ ქვეყანაში ვენდო მის ზნეობას, რწმენას და კაცობას და მჯერა, ამ ადამიანს რომ რაიმე საქვეყნო საქმე მიზარდეს, დღევანდელ პირობაზეც კი კეთილსინდისიერად აღასრულებს თავის მოვალეობას.

ამ ბნელ ქვეყანას ვერავინ გაანათებს, მაგრამ ერთ ცვილის სახთელს აანთებს“.

ახლა სახალხო მწერლის, იმერეთის სამწერლო ორგანიზაციისა და საზოგადოება „ქუთაისელის“ თავკაცის თემურ ლანჩავას იმ ლექსის სტრიქონებიც გავისხენოთ, რომელიც შარშან, ნოემბერში გამოქვეყნდა და პირადად თენგიზ ჩირაძეს მიეძღვნა. ამ ლექსის დასკვნითი აკორდია მადლიერებით აღსავსე სიტყვები:

„ვხედავ, მასავით მპატრონობ და მენს სიხარულს მაჩვევ, დიდი მადლობა, ბატონო, რომ გყვარებთ, ვამჩნევ!“ ვიყოთ ბოლომდე გულწრფელები! არა სჯობს სიკეთის მართლად განმსჯელთა ეს ამონარიდები ყოველგვარ მედლებს, ორდენებსა და სხვა ოფიციალურ რეგალიებს? \* \* \*

დავუბრუნდეთ ისევ „ტობესა“ და „ტობიშებს“! ჯელობის წლებიდან ჩემმა დიდმა მეგობარმა, გაზრდილი „მენორას“ მთავარმა რედაქტორმა და ცნობილმა მწერალმა გურამ ბათიაშვილმა, რომლის პიესა „ვალისათვის“ პირადად მე ვალი ჯერ კიდევ არ გამისტუმრებია, დამიდასტურა, რომ ორივე ზემოთ ხსენებული სიტყვა ივრითული „ტოვ“-იდან უნდა მომდინარეობდეს.

საჭიროდ არ ჩავთვალე და ამიტომ ბატონი თენგიზისათვის არც მიკითხავს, რატომ შეარქვა ახლა უკვე ფართოდ ცნობილ თავის სამშენებლო საწარმოს „ტობე“.

ისედაც ყველაფერი გასაგებია, რადგან არა მარტო ქართველი ებრაელები თვლიან თავიანთ თავს ჩვენს წინაშე მოვალედ, არამედ „ჰურიათა ქართველთა“ მიმართ ჩვენც ბევრ რამეში ვართ მოვალეები.

თითქმის 27 საუკუნე ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთის ვალი რომ არ დაგვდებოდა, შეუძლებელია.

ჰოდა, დღეს, როცა ქართველ ებრაელთა უმეტესი ნაწილი, მათ შორის როგორც ბატონი თენგიზის, ისე მრავალი ჩვენგანის უახლოესი მეგობრები საცხოვრებლად თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ავიდნენ, მათეული „ტოვი“ და ივრითულიდან ათეულობით საუკუნის წინათ ქართულად გადმოიწერა „ტობე“ დიდი ვალის ერთ-ერთი ჩვენეული საზღაურია. მით უფრო, რომ ნგრევას კი არა, კეთილ საქმეს — მშენებლობას ემსახურება!

# რას ვპირობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



## აპარონ მდინარაძე

და უთხრა ჰაშემმა მოშეს: იყავით მიდიანის მტრები და დაამარცხეთ ისინი. რატომ გვავალებს ჰაშემი მიდიანის მტრობას, არ არის საკმარისი მათი დამარცხება? რომ შევადართო ვინ უფრო მეტი ზიანი მიაყენა ისრაელს? ეგვიპტელებმა თუ მიდიანელებმა? ეგვიპტელები გვჩაგვრავდნენ, დაგვიმონეს, გვაძლევდნენ მძიმე სამუშაოს, აყოლებდნენ ჩვენ ბავშვებს კედელში და ასე შემდეგ. მიუხედავად ამისა, ჰაშემი გვებნება, „არ შეიძულო ეგვიპტელი,

ფ  
ი  
ნ  
ს  
ა  
ს  
ი

მიიტომ რომ ხიზნად იყავი შენ მათ ქვეყანაში...“ ხოლო მიდიანის შემთხვევაში, რომელსაც ჩვენზე ხელი არ აუწევია და არც დაუჩაგრია, ჰაშემი გვეუბნება ემტერეთ მათ.

როგორც იძახიან ჩვენი ხახმები - მიზეზი არის ის რომ ეგვიპტელები ჩვენ გვერდოდნენ მხოლოდ ფიზიკურად და არ იღწვოდნენ ჩვენი ნეშამების დასაბინძურებლად, მიდიანელებმა კი შეგვაცოდინეს და შეგვაცდინეს გარყვნილობით და კერპთაყვანისმცემლობით, ზიანი მიაყენეს ჩვენ ნეშამას.

თუნდაც ასეა, მაშინ ჰაშემი რატომ გაბრაზდა მხოლოდ მიდიანელებზე, ისრაელმა ხომ მოაველ ქალებთან შეცოდეს ძირითადად? საქმე იმაშია, რომ პირველები იყვნენ მიდიანელები ვინც აგზავნიდნენ თავიანთ ქალიშვილებს, რომ ისრაელს შეეცოდათ, მხოლოდ შემდეგ დაიწყეს ისრაელმა მოაველ ქალებთან შეცოდვა და ისიც ისინი თვითონ მიდიოდნენ მათთან

იძახის რაბი შიმყონი: მოუწოდო ადამიანს ცოდვისთვის უფრო უარესია ვიდრე მოკლა რადგან თუ ვინმე კლავს ვინმეს, ის მას ანადგურებს მხოლოდ ამ სამყაროში, ხოლო თუ ადამიანი აიძულებს სხვა ადამიანს შეცოდოს, ის ანადგურებს მას ორივე ვსამყაროში.

რებე აბტიდან, მიგვანიშნებს, რომ კვირის თავი „ფინხასი“ ყოველთვის იკითხება პერიოდში

17 თამუზიდან 9 ავამდე, სადაც ზუსტად 21 დღეა, ხოლო ფარაში ფინხასში ჩამოთვლილია ჩვენი დღესასწაულები, რომელთა დღეების რაოდენობაც ასევე უდრის — 21-ს-ფესახი-7, სუქოთი-8, რომ-ჰა-შანა-2, შავუყოთი, იომ ქიფური, შაბათი და რომ-ხოდეში.

აქედან გამომდინარე ის გვეუბნება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ეხლა ძალიან მძიმე დღეებია, მომავალში გაიხსნება ამ დღეების პოტენციული და ჩვენ ვიგრძნობთ ნამდვილ სიხარულს ჰაშემთან სიახლოვისგან.

ჰაშემმა დაგვიჩქაროს ეს დღეები, ამენ.

**ლევილუი ნიშმათ შალომ ბენ შიმყონ ქოსაშვილი**



## ადმორის ბარდაცვალების წლისთავი



3 თამუზი ადმორის გარდაცვალების დღეა-მის ხსოვნას კი საქართველოს ებრაული თემი უფრთხილდება და ინახავს. ამის დასტური იყო 2 თამუზის (26 ივნისის) საღამო-„ხაბადის“ საქართველოს წარმომადგენლობაში თავი მოიყარა თბილისის ჯამაათის დიდმა ნაწილმა, რათა აღენიშნათ ადმორის გარდაცვალების 23-ე წლისთავი. რაბი ბენციონ ისრაელაშვილთან ერთად ილოცეს ყარბითი, რის შემდეგაც სედერზე საქართველოში „ხაბადის“ წარმომადგენლობის მეთაურმა, რაბი მეირ კოზლოვსკიმ ისაუბრა ადმორის მისიაზე, ღვანღზე.

## „ხაბადის“ წარმომადგენლობის გამოცემა



ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, თუ რაოდენ საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა საქართველოში „ხაბადის“ წარმომადგენლობა-„ორ აზნერი“. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მან გამოსცა ნიგნები: „თორა“ (პირველი და მეორე ნაწილი), „ებრაული ტრადიცია“ (პირველი და მეორე ნაწილი). ამასწინათ კვლავ „ორ აზნერის“ ეგიდით გამოვიდა „ცოცხალი მემკვიდრეობა“ (პირველი ნაწილი) ეს არის ებრაული ტრადიციის-უძველესი დროიდან დღემდე-სახელმძღვანელო.

ნიგნის შესავალ ნაწილში „ხაბადის“ საქართველოში წარმომადგენლობის მეთაური მეირ კოზლოვსკი წერს:

— სამი ათას წელზე მეტი არსებობს ებრაული ხალხი, მისი ცხოვრების წესი და ფილოსოფია, მორალური ნორმები და კალენდარი, ბავშვების აღზრდა და ისტორია. ეს ყველაფერი ებრაული ტრადიციაა, რომელიც სათავეს ერთი კონკრეტული წყაროდან-თორიდან იღებს. ებრაული ტრადიცია ხალხის ცხოვრების ფუნდამენტია, ტრადიციის დაცვა და გადაცემა იყო წინაპარი მამების, ერის ლიდერების, მეფეებისა, თუ ბრძენთა მთავარი საზრუნავი და უპირობო ამოცანა.. დაიცავი და გახსოვდეს! აი, დავალება, მოვალეობა, ცხოვრების წესი, რომლითაც მომავალმა თაობებმა, უნდა იცხოვრონ. ებრაული ტრადიცია არის გამოცდილება, რომელიც მამიდან შვილზე, თაობიდან თაობაზე გადადის.“

ისევე როგორც ადრეული გამოცემებისას, პროექტის ხელმძღვანელია ი. დაშვესკაია, საქართველოში კი ამ პროექტს ც. კოზლოვსკაია ხელმძღვანელობს. ნიგნის რედაქტორია-ხ ხუხაშვილი, კორექტორი -მ. იოსებაშვილი.

## შოთა შალელაშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი

„ქართულ ოცნებას“ პარლამენტში 37 დეკლარირებული მილიონური ჰყავს, რომელთა უძრავ-მოდრავი ქონება 1 მილიონ ლარს აჭარბებს.

ამის შესახებ, კვლევა მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ გამოაქვეყნა. კვლევის თანახმად, მილიონერი დეპუტატების სიას სათავეში „ქართული ოცნების“ დეპუტატი შოთა შალელაშვილი უდგას, რომლის უძრავ-მოდრავი ქონება „მედიატორის“ მონაცემებით, 34.907.760 ლარით არის შეფასებული.

2016 წლის 30 დეკემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, შალელაშვილი ფლობს 165 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას ისრაელში, ქალაქ ამდოდში; 155 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას რუსეთში, მოსკოვში და 259.12 კვ. მეტრი ფართობის ბინას თბილისში.

მასვე ეკუთვნის 36 650 კვადრატული მეტრისა (რომლის 50%-იანი წილის მფლობელიცაა) და 8 820 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი ისრაელში, სავიონში და 600 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთი სამტრედიამში.

რაც შეეხება მოძრავ ქონებას, დეპუტატი ფლობს 4 მსუბუქ ავტომობილს - MERCEDES S-500; NISSAN TEANA-s; MERCEDES GL-450-sda AUDI S8-ს. მასვე ეკუთვნის 4 ფერწერული ტილო და 3 ძვირადღირებული მაჯის საათი.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ამ ნივთის ღირებულება 10 ათას ლარს აღემატება.

დეკლარაციის შევსების მომენტში, შალელაშვილს LEUMI ISRAEL-ს მიმდინარეანგარიშზე 2 308.37 შეკელი, დეპოზიტზე - 259 651.02 დოლარი; „თი-ბი-სიბანკის“ მიმდინარე ანგარიშზე 9 დოლარი, საბარათზე - 40 683 დოლარი, დეპოზიტზე - 94 700 დოლარი; „ბანკი ქართუს“ მიმდინარე ანგარიშზე - 1 მილიონი დოლარი და 67.50 ლარი, დეპოზიტზე 5 მილიონ 500 ათასი (5 500 000) დოლარი, საბარათზე კი 22 012.27 დოლარი და 31 850.24 ლარი ჰქონდა.

ამასთან, დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფულადი თანხი სსახით 18 ათასი ევროდა 45 ათასი დოლარი ჰქონდა. ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, გასული წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პარლამენტის წევრობისას მიღებულმა შემოსავალმა კი 5 550.04 ლარი შეადგინა.

დეპუტატს ჰყავს მეუღლე ირა ფიჩხაძე და შვილი მარიკ შალონ. დეკლარაციის მიხედვით, ფიჩხაძე ფლობს - ჯამში 21 005 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთებს ქობულეთში; იმავე ისამართზე მდებარე 4 428 კვ. მეტრის, 8 739 კვ. მეტრისა და 221.90 კვადრატული მეტრი ფართობის არასაცხოვრებელ ფართს.


მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი - FORD EXPLORER; 3 ბეჭედი; 2 საყურე; 3 სამაჯური; 2 ყელსაბამიდა 3 საათი. თითოეული ამ ნივთის ღირებულება კი 10 ათას ლარს აღემატება.

დეკლარაციის ევსების მომენტში ფიჩხაძეს ნაღდი ფულადი თანხის სახით, 25 ათასი დოლარი; შვილს მარიკ შალონს კი LEUMI ISRAEL-ის დეპოზიტზე 100 ათასი დოლარი ჰქონდათ.



ნაწილი I  
ცოცხალი  
მემკვიდრეობა

ეჭუდ ოლმერტი ციხე დატოვა



ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ეჭუდ ოლმერტი 2016 წლის 5 თებერვლიდან სხვადასხვა დანაშაულისათვის...

როგორც ისრაელის პრესა წერს, ოლმერტი ციხის ეზოშივე ბრონირებულ „აუდიოში“ ჩაჯდა და სახლისაკენ გაემართა...

ეჭუდ ოლმერტიმ განთავისუფლების პიროველსავე დღეს ისრაელის პრეზიდენტს შეწყალებისათვის მიმართა...

ამერიკელი ფილანტროფის უარი

ცნობილმა ამერიკელმა ფილანტროფმა აიზეკ ფიშერმა განაცხადა, რომ ისრაელში აღარ დააფინანსებს მის მიერვე წამოწყებულ პროექტებს...

და კიდევ ერთი გარემოება: ა. ფიშერს არ მოსწონს მთავრობის პოზიცია გიურთან დაკავშირებით.

წამოწყებული პროექტების შეჩერებასთან ერთად, ა. ფიშერმა ისრაელის ხელისუფლების სპეციალური ობლიგაციების შესყიდვაზე, თელ-ავივის უნივერსიტეტის ფინანსირებაში მონაწილეობასა და მთელ რიგ სხვა პროექტებზე თქვა უარი.

ისრაელის ბიუჯეტის დეფიციტი 2.3% შემცირდა

9 ივლისს ისრაელის ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ამ ბოლო 12 თვის განმავლობაში სახელმწიფოს ერთიანი საბიუჯეტო დეფიციტი 2.4%-დან 2.3%-მდე შემცირდა.

ანალიზი გვაჩვენებს, რომ მიმდინარე წლის დამდეგიდან სახელმწიფოს ხარჯმა შეადგინა 143 მილიარდი შეკელი და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9.3% გაიზარდა.

სამოქალაქო საჭიროებისათვის სამინისტროთა ხარჯები გაიზარდა 6.8%, დამტკიცებული ბიუჯეტით კი საამისოდ გათვალისწინებული გახლდათ 8.9%, თავდაცვის უწყებების ხარჯები კი გაიზარდა 7.1%, და ეს მაშინ, როცა გათვალისწინებული გახლდათ მხოლოდ 0.7%. ფინანსთა სამინისტრო იუწყება, რომ თავდაცვის ბოლი თვეების განმავლობაში სამინისტროს ხარჯები იზრდება და მისი სტაბილიზირება ვერ ხერხდება.

გადასახადებისაგან შემოსავალმა ივნისში 22.3 მილიარდი შეადგინა.

პირდაპირი გადასახადების სახით (საშემოსავლო, კომპანიებისა, კაპიტალის მატებისა) სახელმწიფომ მიიღო ათი პროცენტით მეტი, გასული წლის ივნისთან შედარებით. დაფიქსირდა ირიბი გადასახადების 3%-იანი კლება, რაც ავტომობილების იმპორტის შემცირებას უკავშირდება.

გაზეთ „მენორას“ რედაქციი თანაგრძნობას უცხადებს ცნობილ ჟურნალისტს, ნიუ-იორკში მცხოვრებ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ავტორს მანანა ჯინჯიხაშვილს დის — დოდო ჯინჯიხაშვილის გარდაცვალების გამო

შელდონ ადელსონი არიელის უნივერსიტეტს

ებრაული საინფორმაციო სააგენტო (JTA) იტყობინება, რომ ამერიკელი მილიარდერი შელდონ ანდერსონი უნივერსიტეტს, რომელიც ისრაელის ქალაქ არიელში მდებარეობს, 200 მილიონ დოლარს შესწირავს.

ქ. არიელში 1982 წელს დაარსდა კოლეჯი, რომელმაც 2010 წელს უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო. მინისტრის პროექტის მიხედვით, უნივერსიტეტის გაფართოება მოიცავს სამედიცინო ფაკულტეტის შექმნას, გაიზრდება საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებათა, ასევე ებრაული მეცნიერებების შესწავლა.

შალვა ქოსაშვილი



ყოველ შაბათ დილას „ბეთ რახელში“ (ყოფილი ე.წ. „აშკენაზების სალოცავი“) ზემიროთის ლოცვას სწორედ შალვა ქოსაშვილი ლოცულობდა. ასევე იყო წინა შაბათსაც, მაგრამ 8 ივლისს დილას შალვა ქოსაშვილმა ზემიროთი ვერ ილოცა — წინა დღეებში 67 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა — თბილისის ჯამაათს დააკლდა ერთი ღირსეული წევრი.

შ. ქოსაშვილი გახლდათ თხემით ტერფამდე მორწმუნე ებრაელი. იგი წლების განმავლობაში იყო ე.წ. „აშკენაზების სალოცავის“ გაბაი. მან ბევრი რამ გააკეთა ამ მოძველებული ნაგებობის გასამაგრებლად, ხოლო მოგვიანებით საქართველოს მთავარი რაბინის არიელ ლევიანის ინიციატივით, არჩეული იქნა თბილისის დიდი, ე. წ. „ახალციხელების სალოცავის“ გაბაი. მან აქაც ბევრი იზრუნა შენობის კეთილმოწყობისათვის. არაერთხელ გამოუთქვამს დიდი მადლობა ბადრი პატარკაციშვილისადმი, რომელიც სალოცავს დიდ დახმარებას უწევდა. „ახალციხელთა სალოცავის“ ეზოში ქართველ ებრაელ რაბინთა მემორიალი სწორედ მისი- შ. ქოსაშვილის ინიციატივითა და გეგმით დაიდგა. სამწუხაროდ, ამ სალოცავში მას ბევრი უსიამოვნება შეხვდა — სავარაუდოდ გარემომცველთა გამოიხიბით, რომლის შემდეგაც მხოლოდ „ბეთ რახელში“ ლოცულობდა.

„მენორა“-ს რედაქცია სამძიმარს უცხადებს შალვა ქოსაშვილის ოჯახს

რომან ზაკი-ცხვირაშვილი



გარდაიცვალა რომან ზაკი-ცხვირაშვილი — ამაგდარი ადამიანი, პიროვნება, რომელიც გულითადად ემსახურებოდა ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემს — წლების განმავლობაში იყო ქვინის ბეთ ქნესეთის გამგეობის პრეზიდენტი, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის აშშ განყოფილების ხელმძღვანელი. ამ, ქუთაისიდან ჯერ ისრაელში, მერე აშშ-ში წასულმა კაცმა, ბიზნესში დიდ წარმატებას მიაღწია. ერთგულად მსახურებდა ოჯახს, გახლდათ მეგობარ-ამხანაგების პატივისმცემელი.

„მენორას“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს რომან ზაკი-ცხვირაშვილის ოჯახს.

ბასწორება

„მენორას“ წინა-მეექვსე ნომერში გაიპარა სავალალო შეცდომა — პირველ გვერდზე მოთავსებულ მცნებათა შორის გამორჩენილია ერთ-ერთი მცნება: „არა კაც ჰკლა!“, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით მკითხველს.

დაფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003